

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საშემსრულებლო ფაკულტეტებზე (დრამის, კინო - ტელე, ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების) აკადემიური თანამდებობის **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი)** დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასების წესი:

1. უმაღლესი განათლების დიპლომი:

- I. პროფილური (თითოეულზე)- 4 ქულა (წარჩინებული + 1 ქულა);
- II. არაპროფილური (უმაღლესი შემოქმედებითი მიმართულებით) – 2 ქულა

2. პროფილური სერთიფიკატი (თითოეულზე) - 1ქულა.

3. პედაგოგიური სტაჟი უმაღლეს სასწავლებელში:

1 წელი – 2 ქულა.

4. აკადემიური ხარისხი:

დოქტორი (პროფილური) - 15 ქულა;

მაგისტრი (პროფილური) – 5 ქულა

5. სილაბუსი:

I. დისციპლინასთან შინაარსობრივი შესაბამისობა, სტრუქტურული გამართულობა და სწავლების მეთოდის სიციხადე - 1-3 ქულა;

II. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მრავალფეროვნება და დისციპლინასთან შესაბამისობა - 1-3 ქულა;

ამ კრიტერიუმებით, ცალ-ცალკე ფასდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი თითოეული სილაბუსი, როგორც სწავლების სამივე საფეხურზე, ისე ერთსა და იმავე სწავლების დონეზე (შეიძლება იყოს რამდენიმე სასწავლო კურსის ან ერთი და იგივე კურსის, ოღონდ სხვადასხვა მოცულობის, კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე). შემდეგ, იკრიბება ყველა ცალკეული სილაბუსის ქულა და ვიღებთ საბოლოო შეფასებას, ერთ კონკრეტულ კრებით ციფრს.

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი - საკონკურსო კომისიას წარუდგენს სათანადო მიმართულების სწავლების სამივე საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი-საკონკურსო კომისიას წარუდგენს სათანადო მიმართულების, სწავლების ორი საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი-საკონკურსო კომისიას წარუდგენს სათანადო მიმართულების, სწავლების პირველი საფეხურისათვის (ბაკალავრიატი) განკუთვნილ სილაბუსს.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველს არ მოეთხოვება სილაბუსის წარდგენა, ვინაიდან იგი ახორციელებს პრაქტიკულ, სასემინარო და კვლევით საქმიანობას პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებით.

პროფესორთა მიერ წარმოდგენილი სწავლების სამივე საფეხურისათვის განკუთვნილი სილაბუსები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და აკრედიტაცია გავლილი სათანადო მიმართულების სასწავლო პროგრამების შემადგენელ დისციპლინებს.

6. სასწავლო პროგრამების შემუშავების გამოცდილება : - 2 ქულა.

7. მიმართულების ხელმძღვანელობა: 1 წელი - 2 ქულა.

8. სპეციალობაში (მიმართულებაში) ჯგუფის ხელმძღვანელობის პედაგოგიური გამოცდილება 1 წელი - 2 ქულა

თითოეულ გამოშვებულ ჯგუფზე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში

სრული საბაკალავრო კურსი 4 წელი -2 ქულა

სრული სამაგისტრო კურსი 2 წელი-1 ქულა

სრული სადოქტორო კურსი 3 წელი-1 ქულა

9. სპეციალობაში (მიმართულებაში) ჯგუფის ხელმძღვანელის ასისტენტობა:

1 წელი - 1 ქულა

სრული საბაკალავრო კურსი 4 წელი -1 ქულა

10. თეატრალურ, კინო - ტელე, ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ფესტივალებში

I. მონაწილეობა:

ადგილობრივი (თითოეული) - 1 ქულა;

საერთაშორისო (თითოეული) - 2 ქულა;

- II. ფესტივალში მიღებული პრიზები და პრემიები: ადგილობრივი (თითოეული) - 1 ქულა; საერთაშორისო (თითოეული) - 2 ქულა;
- III. ჟიურის წევრობა: ადგილობრივი (თითოეული) - 1 ქულა; საერთაშორისო (თითოეული) - 2 ქულა.
- IV. კონკურსანტის სტუდენტის მიერ შემოქმედებით ფესტივალზე მიღებული პრიზი ადგილობრივი (თითოეული) - 1 ქულა; საერთაშორისო (თითოეული) - 2 ქულა;

11. კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა: (ჩატარებული ვორკშოპი, ლექცია, მასტერკლასი და სხვ.)

- ადგილობრივი (თითოეული) - 1 ქულა;
- საერთაშორისო (თითოეული) - 3 ქულა;

12. შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილება:

(თეატრი, კინოსტუდია, ტელევიზია, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლი და სხვ.): 1 წელი - 1 ქულა.

13. შემოქმედებითი გამოცდილება (დადგმული სპექტაკლი, კინო - ტელე პროდუქცია, ქორეოგრაფიული ნიმუში, საკონცერტო მუსიკალური ნიმუში);

- I. პროფესიული და სასწავლო თეატრების სცენებზე დადგმული სპექტაკლი (თითოეული) - 3 ქულა;
- II. პროფესიული და სასწავლო თეატრების სცენებზე დადგმული სპექტაკლის რეჟისორის ასისტენტობა (თითოეული) - 1 ქულა;
- III. მხატვრული, დოკუმენტური ფილმი (თითოეული) - 3 ქულა;
- III. ა. მხატვრული, დოკუმენტური ფილმის რეჟისორის, ოპერატორის, ხმის რეჟისორის ასისტენტობა (თითოეული) - 1 ქულა;
- IV. დადგმითი ხასიათის ვიდეოპროდუქცია (თითოეული) - 1 ქულა;
- V. საკონცერტო ქორეოგრაფიული პროგრამა - 3 ქულა.
- VI. სპექტაკლის ქორეოგრაფიული გაფორმება (თითოეული სპექტაკლი)- 1 ქულა.
- VII. საკონცერტო მუსიკალური პროგრამა - 3 ქულა.
- VIII. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება (თითოეული სპექტაკლი)- 1 ქულა.

- IX. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (თითოეული სპექტაკლი)- 1 ქულა.
- X. ფილმის მუსიკალური გაფორმება (თითოეული ფილმი)- 1 ქულა.
- XI. ფილმის მხატვრული გაფორმება (თითოეული ფილმი)- 1 ქულა.

14. სამეცნიერო - შემოქმედებით კონფერენციაში მონაწილეობა:

ადგილობრივი - 1 ქულა;

საერთაშორისო - 3 ქულა;

15. თეორიული და ანალიტიკურ-პრაქტიკული ხასიათის პროფილური ნაშრომი

(სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან კრებულში):

- I. ერთი ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში - 2 ქულა;
- II. ერთი ნაშრომი უცხოურ რეფერირებად ჟურნალში - 3 ქულა;

16. წიგნი (უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად, წიგნად

ითვლება გამომცემლობის მიერ გამოშვებული პოლიგრაფიული

ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე

ნაკლებს):

- I. პროფილური სახელმძღვანელო - 1 ცალი - 10 ქულა;
- II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელო - 1 ცალი - 6 ქულა;
- III. მონოგრაფია - 8 ქულა
- IV. პროფილური სასწავლო- საცნობარო, მეთოდოლოგიური ლიტერატურა (ლექსიკონი, მეთოდოლოგიური მითითებანი, სასწავლო მასალა და სხვა.) – 3 ქულა;
- V. პროფილური სახელმძღვანელოს ან დამხმარე სახელმძღვანელოს თარგმანი -3 ქულა.

17. წიგნის, კრებულის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:

- I. პროფილური სახელმძღვანელოს რედაქტორობა (თითოეულზე) – 3 ქულა;
- II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს/სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (თითოეულზე) – 2 ქულა;
- I. პროფილური მონოგრაფიის და ა. შ. რედაქტორობა (თითოეულზე) – 3 ქულა;
- II. პროფილური სახელმძღვანელოს რეცენზენტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

III. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის და ა. შ. რეცენზენტობა (თითოეულზე) - 1 ქულა;

IV. პროფილური წიგნის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 1 ქულა.

18. ანალიტიკურ - შემოქმედებითი საკვალიფიკაციო ნაშრომებთან დაკავშირებით:

I. სადოქტორო ნაშრომის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა (თითოეულზე) – 4 ქულა;

II. სამაგისტრო ნაშრომის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

III. საბაკალავრო ნაშრომის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

IV. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

V. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

VI. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 1 ქულა;

VII. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

VIII. საბაკალავრო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 1 ქულა;

IX. სამაგისტრო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

X. სადოქტორო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 3 ქულა.

19. სადისერტაციო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა:

V. სადისერტაციო (თითოეულზე) – 2 ქულა;

VI. სარედაქციო (თითოეულზე) - 1 ქულა.

20. პროფესიული პრემია:

I. რუსთაველის სახელობის - 4 ქულა;

II. სახელმწიფო - 3 ქულა;

III. სახელობითი - 2 ქულა;

IV. უცხოური - 3 ქულა.

21. პროფესიული მოღვაწეობისათვის მიღებული სიგელი, სამთავრობო ჯილდო, წოდება და ლაურეატობა:

- I. ჯილდო - 3 ქულა.
- II. წოდება - 2 ქულა;
- III. სიგელი - 2 ქულა;
- IV. ლაურეატობა - 1 ქულა.

22. პროფესიული საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების ექსპერტობა - 2 ქულა.

23. სხვა აქტივობა:

- I. საერთაშორისო ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა - 1 ქულა
- II. სახალხო დღესასწაულების და მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება - 1 ქულა

24. უცხო ენის ფლობა:

მათ შორის: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული

თითოეულის ცოდნა (B 2 დონე) - 3 ქულა.

თითოეულის ცოდნა (B 1 დონე) - 2 ქულა

საბუთის სახით, წარმოდგენილ უნდა იყოს სათანადო დოკუმენტი (სერთიფიკატი და ა.შ.); ამგვარი საბუთის არ ქონის შემთხვევაში, კონკურსანტს გაესაუბრება სათანადო ენის მცოდნე სპეციალისტი. საკონკურსო კომისიას ამის შემდეგ წარედგინება ამ სპეციალისტის დასკვნა.

კონკურსანტის ყოველი მონაცემი სათანადო დოკუმენტაციით, საბუთით უნდა იყოს დამტკიცებულ-დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია შეფასების, ქულის გარეშე ტოვებს დაუსაბუთებელ მონაცემს.

თანაბარ ქულათა რაოდენობის პირობებში მყოფ კონკურსანტებს შორის უპირატესობა მიენიჭება შემოქმედებით კომპონენტში გამარჯვებულს.

პროფესორის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულ პირს, რომელიც აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უძღვებოდა პროფილურ სასწავლო კურსს ან/და მოდულს 12 წლის განმავლობაში; **ასოცირებული პროფესორის** კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულ პირს, რომელსაც აქვს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-

პედაგოგიური მოღვაწეობის 8 წლის სტაჟი. უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არ აქვს დოქტორის ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პედაგოგიური გამოცდილებით ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში (10 წლიანი უწყვეტი პედაგოგიური გამოცდილება).

ასისტენტ- პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველი შეიძლება იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობის 4 წლის სტაჟი (საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი პედაგოგის ან ასისტენტის რანგში);

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორის რეკომენდაცია - 5 ქულა.

ასისტენტის თანამდებობის დაკავების მსურველი იყოს მაგისტრანტი და ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარმოუდგინოს შესაბამისი მიმართულების ლიდერის, ან დეკანის რეკომენდაცია. ფაკულტეტის საბჭო განხილვის შემდეგ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამის კანდიდატს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად.

მინიმალური ზღვარი: აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმალური ქულების შემდეგი რაოდენობა:

- პროფესორი - 90 ქულა;
- ასოცირებული პროფესორი - 70 ქულა;
- ასისტენტ-პროფესორი -40 ქულა;

შენიშვნა:

1. **პუნქტი 4.** დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებულ პირებს მაგისტრის დიპლომის არსებობის შემთხვევაში საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული ქულები არ დაეწერებათ.
2. **პუნქტი 10, მუხლი I.** კონკურსანტს ქულა შეიძლება დაეწეროს იმ შემთხვევაში, თუ ფესტივალში მონაწილეობდა მისი სპექტაკლი, ფილმი, ქორეოგრაფიული ან მუსიკალური პროგრამა; კონკურსანტს ქულა დაეწერება იმ შემთხვევაშიც, თუ კონკურსანტი ფესტივალში მონაწილეობდა როგორც სოლისტი ან მთავარი როლის შემსრულებელი ფილმსა და სპექტაკლში.
3. **პუნქტი 10, მუხლი III.** კონკურსანტს ქულა დაეწერება მხოლოდ პროფესიული შემოქმედებითი ფესტივალისა და კონკურსის ჟიურის წევრობის შემთხვევაში.
4. **პუნქტი 10, მუხლი IV.** კონკურსანტს ქულა დაეწერება იმ შემთხვევაში, თუ მისი სტუდენტი სწავლების პერიოდში დაჯილდოვდება ამა თუ იმ პრიზით.
5. **პუნქტი 12.** კონკურსანტს ქულა დაეწერება სახელმწიფო ან მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შემთხვევაში.